

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 8

01.05.2023 წ.

ქ.გორი

მიმდინარე წლის 1 მაისს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მერვე სხდომა გაიმართა.

შეხვედრის დაწყების დრო 15:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. ნინო გიორგაძე
3. იაკობ მათალაშვილი
4. მალხაზ გოჩაშვილი
5. ზურაბ ზურაბაშვილი
6. თამარ კაპანაძე
7. ზურა მაჭარაშვილი
8. თამარ თინიკაშვილი

დღის წესრიგი:

- I. საბჭოს ახალი წევრების წარდგენა და ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა.
- II. მრჩეველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი წინა რეკომენდაციების გადახედვა
- III. დებულების გადახედვა და მომდევნო სამი თვის გეგმის შემუშავება
- IV. ჩოჩიშვილის სახელობის სასპორტო სკოლის ადაპტირებული გარემოს მოწყობა შშმ პირებისათვის
- V. მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო შენობა ნაგებობების იჯარით გაცემის კრიტერიუმების გამოთხოვა მუნიციპალიტეტის მერიიდან.
- VI. მუნიციპალური ტრანსპორტის სარგებლობისას გარკვეული ჯგუფებისთვის შეღავათების დაწესების; გორის მუნიციპალიტეტის სოფელებში ახალგაზრდების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები;
- VII. გორის (ა) აიპ -ების მათ ბიუჯეტთან და ფუნქციებთან შესაბამისობა
- VIII. მერიის კორპორატიული მეილების შექმნა

მომხსენებელი: მრჩეველთა საბჭოს მდივანი - თამარ კაპანაძე

მოისმინეს:

I. საბჭოს ახალი წევრების წარდგენა და ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა.

დარეჯან მურადაშვილმა - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ განსწავლეს საბჭოს სხდომა, მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს, გააცნო დღის წესრიგი. აღნიშნა, რომ საბჭოს გამოაკლდა ორი წევრი და შესაბამისად შეუერთდა ორი ახალი წევრი - ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლები: ზურა მაჭარაშვილი და თამარ თინიკაშვილი. წარადგინა საბჭოს ახალი წევრები და გადასცა მათ სიტყვა ინიციატივების წარსადგენად.

თამარ თინიკაშვილი - წარადგინა ინიციატივა ახალგაზრდულ თემაზე:

“გორის საჯარო სივრცეებზე ხელმისაწვდომობა“

გორში არსებობს ბევრი ორგანიზაცია (მათ შორის ახალგაზრდული), რომელიც ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, ასევე დიდია სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა, რომლებიც მოდიან ჩვენს ქალაქში სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად. სამწუხაროდ არ არსებობს არანაირი საერთო სია რომლის მიხედვითაც ორგანიზაციები შეძლებდნენ მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეების გამოყენებას. მუნიციპალიტეტში არის სივრცეები, რომელიც მოცემულ მომენტში არ არის ათვისებული მათ მუდმივ ექსპულატაციაში შეყვანა კი დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ხარჯებთან. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ორგანიზაციებისათვის საჭიროებას წარმოადგენს მხოლოდ შეხვედრების სივრცე, სადაც ისინი შეძლებენ ფორმალური ღონისძიების ჩატარებას. ეს სივრცე იქნება აღჭურვილი და მორგებული მათ საჭიროებებზე, სწორედ ამიტომ შემოვლივართ ინიციატივით რომ **მერიამ მიანიჭოს უფლება კონკრეტულ ადამიანს ან აიპ-ს ვინც შეადგენს სიას და კალენდარს, ასევე დაეხმარება გორში მოქმედ თუ ჩამოსულ ორგანიზაციებს ფორმალური ღონისძიებების გამართვის გამარტივებაში** (ასევე შესაძლებელია მერიის მხრიდან ფინანსური კონტრიბუცია რომელიმე აიპ-თან ზემოთ ჩამოთვლილი სივრცეების სისუფთავის უზრუნველსაყოფად). ორგანიზაციები დაუკავშირდებიან პასუხისმგებელ ინსტანციას, აუხსნიან მათ საჭიროებას, ხოლო ის მოუძებნის ოპტიმალურ ვარიანტს მათი ღონისძიების ჩასატარებლად, ასევე თუ ეს ღონისძიება ეხება სკოლას ჩვენ შეგვიძლია დავანმაროთ მას საბჭოს ელჩები რათა მათი მხრიდან მოხდეს კომუნიკაცია სკოლასა და აიპს შორის. ეს ერთის მხრივ გაზრდის სკოლის ჩართულობას ღონისძიებების ორგანიზების პროცესში, ხოლო მეორე მხრივ შეუმსუბუქებს გორის რესურსცენტრს მუშაობას.

„ახალგაზრდა ელჩების ლეგიტიმაცია“

საბჭოს ელჩების პროგრამა, ესაა გორის ახალგაზრდული საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი, რომლის მიზანია ერთის მხრივ გაზარდოს ახალგაზრდობის ჩართულობა საბჭოს საქმიანობაში, ხოლო მეორე მხრივ მიაწოდოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს მათთვის საჭირო ინფორმაცია და სერვისები.

ამ პროგრამის ფარგლებში იგეგმება გორის მუნიციპალიტეტის 15 სოფელში მცხოვრები ახალგაზრდების გადამზადება და თითოეული სოფლიდან 2 წარმომადგენლისათვის საბჭოს ელჩის სტატუსის მინიჭება.

გორის ახალგაზრდული საბჭოს ელჩების ვალდებულებაა მათი სოფლის მოსახლეობამდე იმ ინფორმაციის მიტანა, რომელიც მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისა და თემის განვითარებისათვის, უზრუნველყოფენ მოსახლეობის საჭიროებების ადვოკატირებას,

პრობლემას მიიტანენ ახალგაზრდულ საბჭოსთან და პროექტი წარედგინება მერიას, საკრებულოს ან სხვა ინსტანციას. ელჩების მიზანია განახორციელონ რამდენიმე პროექტი, იქნებიან **ელჩები თემსა და ადგილობრივ თვითმართვლობას შორის.**

ელჩებს სჭირდებათ ლეგიტიმაცია. მათი ლეგიტიმაცია კი შესაძლებელია მხოლოდ ოფიციალურ წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, სასურველი იქნება აქტიური კავშირი დაამყარონ ელჩებმა როგორც სკოლების დირექციასთან (დირექტორის ჩათვლით) ისე რწმუნებულებთან, რათა ახალგაზრდების თვალში მათ ჰქონდეთ მეტი ავტორიტეტი და იქცნენ ინფორმაციის გაცემის გარანტიად.

გორის მუნიციპალურ ტრანსპორტში მოსწავლეებისთვის სტუდენტებისთვის SCHOOL CARD-ით და STUDENT CARD-ით მოძრაობა.”

პრობლემა: გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პრობლემა არის ტრანსპორტით სარგებლობა.

იგი დაკავშირებულია მგზავრობის ტარიფთან და გორის რაიონების მიმართულებით მოძრავი მიკრო ავტობუსების ნაკლებობასთან.

გორის რაიონებში მოძრავი ტრანსპორტის 90% საღამოს 18:00 საათის შემდეგ წყვეტს მოძრაობას, რის გამოც ახალგაზრდებს ექმნებათ პრობლემა რომ 18:00 საათზე უნდა წავიდნენ სახლში და ვერცერთ აქტივობებში ვეღარ იღებენ მონაწილეობას.

გორის ახალგაზრდული საბჭოს მიერ ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილე ახალგაზრდებმა ტრანსპორტთან დაკავშირებით ითხოვეს საშუავათო ტარიფის ამოქმედება და რაიონებში მოძრავი მიკრო ავტობუსების საათების დამატებას.

მიზანი: ავამოქმედოთ გორის და გორის რაიონის მცხოვრები ახალგაზრდებისთვის SCHOOL CARD-ით და STUDENT CARD-ით მოძრაობა.

SCHOOL CARD-ით და STUDENT CARD-ით მოძრაობაში ვგულისხმობთ ისეთი საშუავათო ტარიფით სარგებლობას, როგორც ფუნქციონირებს ქალაქ თბილისსა და თელავში.

მოსწავლეები შეძლებენ ნახევარ ფასში გადაადგილებას. ქალაქ თელავში მოსწავლე-სტუდენტებისთვის მგზავრობა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის N11 დადგენილებით ამოქმედდა 50%-იანი შეღავათით სარგებლობა. გარდა მოსწავლეებისა ტარიფი ეხება პენსიონერებს, ვეტერანებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, მარჩინალდაკარგულ პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა.

ეს სისტემა ძალიან კარგად მუშაობს დღეს-დღეობით თელავში.

სასურველია მსგავსი პრაქტიკა დაინერგოს ჩვენს მუნიციპალიტეტშიც.

შედეგი: გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ფინანსური შეღავათის გაწევა. მათი გააქტიურება ახალგაზრდულ და სოციალურ პროექტებში მუნიციპალური ცხოვრების განვითარება და გამოცოცხლება. გორის როგორც ახალგაზრდული ქალაქის იმიჯის გამყარება სახელმწიფო მამტაბით.

თამარ კაპანაძე - მერეთის თემის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის ინიციატივას წარმოადგენს სოფელ მერეთი/არბოს საზღვარზე, მდინარე პატარა ლიახვის ხეობაში სარეკრეაციო სივრცის მოწყობა, თემში არ არის ისეთი ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ახალგაზრდების შეკრება. აღსანიშნავია ისიც, რომ მდინარის მიმდებარე ტერიტორიაზე მასიურად მიმდინარეობს ხეების მოჭრა და ტერიტორიის სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენება, რაც საფრთხეს უქმნის ეკოლოგიას. იმისათვის, რომ მოხდეს პირვანდელი სახით ტერიტორიის შენარჩუნება, ახალგაზრდებს სურთ გაკეთდეს ადგილებში სარეკრეაციო სივრცე.

2. მრჩველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარდგენილი წინა რეკომენდაციების გადახედვა

დარეჯან მურადაშვილი რიგი საკითხების ირგვლივ საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან, ქალაქის განვითარების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მრჩველთა საბჭოს მიერ მერიისთვის გაცემული რეკომენდაციების ნაწილი ამ ეტაპისთვის უკუკავშირის მიღმა რჩება:

- გორის კულტურისა და დასვენების პარკის „ახალბაღის“ რეაბილიტაციის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება, საჯარო განხილვის მოწყობა.
- მიწათსარგებლობის გენერალური გეგმასთან მიმართებით მორატორიუმის გამოცხადება გორის ცენტრალურ უბნებზე.
- საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა.
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონში წარდგენილი საპროექტო ინიციატივების შესახებ საჯარო კონსულტაციების გამართვის საკითხი.

ინიციატივა: სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით უზრუნველყოფა სადამოს საათებში, საშეღავათო ტარიფების დაწესება მიზნობრივი ჯგუფებისათვის.

ზურაბ ზურაბაშვილი - სტუდენტებისათვის მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისას დიდ პრობლემას წარმოადგენს სადამოს საათებში სოფლად დაბრუნება, შესაბამისად მათ უწევთ ლექციების გაცდენა.

ნინო გიორგაძე - ტრანსპორტის გრაფიკი დიდი პრობლემაა, როგორც დამსაქმებლისათვის, ასევე დასაქმებული ადამიანებისათვის, ვისი სამუშაო საათებიც 18 საათზე სრულდება, განსაკუთრებით უდიდესი გამოწვევაა ადმინისტრაციული გამყოფი ზოლის სოფლებში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისათვის, რომელთაც არა აქვთ იმის ფინანსური რესურსი, რომ ტაქსი დაიქირაონ სოფელში უკან დასაბრუნებლად, შესაბამისად დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების ხელის შემშლელი ფაქტორია სადამოს საათებში მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმიუწვდომლობა.

ზურაბ ზურაბაშვილი - კარგი იქნება თუ გორის მუნიციპალიტეტის მერია გაიზიარებს სხვა მუნიციპალიტეტების გამოცდილებას სატრანსპორტო ტარიფების საშეღავათო სისტემას.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მრჩეველთა საბჭო კვლავაც გააგრძელებს ზემოთ აღნიშნულ გამოწვევებზე მუშაობას. მერიას მიეცეს რეკომენდაცია იზრუნოს მოსახლეობისათვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრის გზებზე.

ქუჩების სახელებების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა; გასვილითი შეხვედრების დაგეგმვა მოსახლეობასთან;

წინა სხდომებზე საბჭომ იმსჯელა ქალაქში ისეთი ქუჩების სახელებების ცვლილების შესახებ, როგორცაა სკვერის ქუჩა, ქარხნის ქუჩა, გმირების ქუჩა, შრომის ქუჩა, და ჩოდრიშვილის ქუჩა. მერიამ მოამზადა აღნიშნული ქუჩების მოძიება რუკაზე და საბჭოსთვის გაზიარება.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

გამომდინარე იქედან, რამ საკითხი წარმოადგენს მოსახლეობის ინტერესებს, საჭიროა ამ ქუჩის მაცხოვრებლებთან კონსულტაციები, საბჭო მაისის თვეში გამართავს მოსახლეობასთან შეხვედრებს და მათ მიერ შერჩეული დასახელებების ალტერნატივებს განსახილველად შესთავაზებს მერიას და საკრებულოს

3. დებულების გადახედვა და მომდევნო სამი თვის გეგმის შემუშავება

დაკო მურადაშვილი - დებულება ითვალისწინებს საბიუჯეტო პროცესებში მრჩეველთა საბჭოს წევრების ჩართულობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ იმსჯელა და შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ მერიამ უზრუნველყოს საბჭოს აქტიური ჩართულობა საბიუჯეტო პროცესებში.

4. ჩოჩიშვილის სახელობის სასპორტო სკოლის ადაპტირებული გარემოს მოწყობა შშმ პირებისათვის

თამარ კაპანაძე - გორის ჩოჩიშვილის სახელობის სასპორტო სკოლაში მრავალი წრე ფუნქციონირებს, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტარდება სპორტული ტურნირები. შშმ ბავშვებისათვის არა არის ადაპტირებული ინფრასტრუქტურა. ეტლით მოსარგებლე პირები ვერ სარგებლობენ სასპორტო წრეებით (მაგ. ჭადრაკი წრე) და ტურნირებზე აღნიშნული პირების დასწრების ხელმისაწვდომობა ნაკლებია.

სარეაბილიტაცია საჩოგბურთო მოედანი გორში. ბავშვების გაკვეთილები დამოკიდებულია სეზონსა და ამინდზე. ჩოგბურთის მოედანზე ბავშვებისათვის არ არის სასმელი და საპირფარეოს წყალი.

გამომდინარე იქედან, რომ გორის მუნიციპალიტეტში არსებობს (ა) აიპ - ები, რომლებიც უნდა მუშაობენ აღნიშნული საკითხების მოგავრებაში, რეკომენდაციების შემუშავებამდე, საბჭო საჭიროა გაეცნოს დეტალურად აიპების საქმიანობას.

დაადგინეს/გადაწყვიტეს :

გორის ა(ა)იპ-ების მათ ბიუჯეტთან და ფუნქციებთან შესაბამისობის შესწავლის მიზნით, მერიამ მიაწოდოს საბჭოს ინფორმაცია

- ა(ა)იპსპორტის განვითარების სააგენტოდან სპორტული წრეების ჩამონათვალი სტატისტიკით (მოსწავლეებისა და მწვრთნელების რაოდენობა), სააგენტოს წლიური

დანართი 1. რეკომენდაციები

"გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მაისის №20.202215114 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ასევე მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება შემდეგი რეკომენდაციების შესახებ:

მრჩეველთა საბჭო რეკომენდაციას უწევს მერიას:

- 1. საბჭოს მიაწოდოს წერილობითი დეტალური ინფორმაცია და ტექნიკური აღწერა იმ სამუშაოების შესახებ, რაც განხორციელდა „სითი ინსტიტუტის“ მიერ მიწათსარგებლობის გენ გემასთან დაკავშირებით და ინფორმაცია, იმ ხელისშემშლელი გარემომდებების და მიზეზების, რაც აფერხებს გორის მიწათსარგებლობის გენ გემის დამტკიცების პროცესს.
გენ. გემის დამტკიცებამდე კი, მერიამ მიიღოს გადაწყვეტილება და გამოაცხადოს მორატორიუმი გორის ცენტრალურ უბნებში მრავალსართულიანი და მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი ობიექტების მშენებლობაზე. (შეცდომისა და რისკების, ხარვეზების, ქალაქისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად)*
- 2. იზრუნოს ქალაქში საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობის საკითხზე.*
- 3. ახალბადის მიმდინარე სამუშაოების შესახებ მოხდეს საჯარო განხილვა ან გაკეთდეს მერიის მხრიდან საინფორმაციო საჯარო შეხვედრა, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.*
- 4. სოფლად მცხოვრები მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის დაინერგოს მოსწავლეთა და სტუდენტთა ბარათებით სარგებლობის საშუალებითი პრაქტიკა. მერიამ შეიქმნას კომისია, რომელიც იმუშავებს მოწყვლადი ჯგუფებისათვის საშუალებითი პაკეტების კრიტერიუმების შემუშავებაზე მრჩეველთა საბჭოს მონაწილეობით.*
- 5. საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია საკრებულოს მიერ დამტკიცებული და რეგიონული განვითარების ფონდში (მუნიციპალური განვითარების ფონდში) გაგზავნილი მოწონებული საპროექტო წინადადებების შესახებ.*
- 6. გამოიყოს მუნიციპალური სატრანსპორტო ხაზები თემებში გამავალ ცენტრალურ მარშუტებზე.*
- 7. საბჭოს წინასწარ ეცნობოს ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით გამართული სამუშაო შეხვედრების შესახებ, რათა საბჭო აქტიურად ჩაერთოს საბიუჯეტო განხილვის პროცესებში.*
- 8. ჩოჩიშვილის სასპორტო სკოლაში შესასვლელად მოეწყოს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ეტლით მოსარგელეთათვის.*

9. გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისათვის შეიქმნას კორპორატიული შენობები.
10. საბჭოს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ა(ა)იპ სპორტის განვითარების სააგენტოდან სპორტული წრეების ჩამონათვალის შესახებ, სტატისტიკა (მოსწავლეებისა და მწვრთნელების რაოდენობა), სააგენტოს 2022 წლის ანგარიში.
11. გაუზიაროს ინფორმაცია საჩოგბურთო მოედნის მდგომარეობისა და სარეაბილიტაციო საშუალების შესახებ (არსებობის შემთხვევაში)
12. ასევე მიეწოდოს ინფორმაცია ა(ა)იპ-გორის „მაცნე“ ში- დასაქმებულთა რაოდენობის, ბიუჯეტის და 2022 წლის ანგარიშის შესახებ.
13. მერიამ მოამზადოს გორის მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო (არაამორტიზირებული) შენობა ნაგებობების ნუსხა, მათი იჯარით გაცემის წესი და კრიტერიუმები.